ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლისN5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ღარიხევიდან ბრუისის უბნის გამოყოფისა და მისთვის ამავე სახელწოდებით სოფლის კატეგორიის მინიჭების წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია "Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD"- სათვის , პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით (იჯარის ფორმით), სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7.სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი), ათი წლის ვადით, საკონსულტაციო ცენტრის მოსაწყობად დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N15 შენობის პირველ სართულზე (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა) (ს/კ 36..01.33.046) 15,12 კვ.მ ფართის გადაცემად მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

8.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრი სხდომის

ოქმი N 17

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15 2019 წლის 07 ოქტომბრის

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგი ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, სულ საკრებულოს 28 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" რედაქტორი,

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლ. ნიქაბაძე- ოპერატორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლისN5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევის ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და მოწონების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია “Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD”- სათვის , პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით (იჯარის ფორმით), სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7.სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი), ათი წლის ვადით, საკონსულტაციო ცენტრის მოსაწყობად დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N15 შენობის პირველ სართულზე მარცხენა ფლიგელში (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა) (ს/კ 36..01.33.046) 15,12 კვ.მ ფართის გადაცემად მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

8.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ,თანამომხსენებელმა რომელმაც წარმოადგინა დასკვნა (თან ერთვის).

პ.გოგოლაძემ, აღნიშნა ,რომ ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი ვალდებულებების ფარგლებში, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილება არის ადეკვატური და ჩვენი ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო ეთანხმება მათ გადაწყვეტილება უარყოფითად შეფასების თაობაზე. ,ჩვენ ვართ უმრავლესობა და გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა.

ქ. ზუმბაძემ აღნიშნა, რომ არ აქვს არანაირი მოლოდინი, რომ დადებითი ან უარყოფითი შეფასების შემდეგ შეიცვლება რამე, თუ ზემოდან არ შეიცვალა.

შ. ლურსმანასვილმა მადლობა გადაუხადა სამსახურს საქმიანობისათვის და დაინტერესდა მერთან მისი ურთიერთობა რამდენად კონსტრუქციული იყო თუ ბრმად ეთანხმებით მერს, ეს ცუდია მაგალითად, 2018 წელს გაიმარჯვა თაღლითმა ფირმამ წესით ის უნდა გაშავებულიყო მაგრამ 2019 წელს ისევ მოიგო პროექტები.

მ. ფხალაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფლის პროექტები ჩადეს დღგ-ს გადამხდელად, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია მეწარმეები არ არიან დღგ-ს გადამხდელები ,როგორც სატენდერო კომისიის წევრმა თუ გააპროტესტეთ.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ მერსა და საკრებულოს შორის უთანხმოება ახდენს გავლენას შედეგებზე, მე პირადად ღრმა პატივისცემა მაქვს საფინანსო სამსახურში დასაქმებულ პირების მიმართ, მაგრამ მაქვს ერთი საკითხი აგრარული განვითარების ქვეყანაში სოფლის მეურნეობას მეტი მხარდაჭერა სჭირდება 10 000 ლარი ამ საქმისთვის არასაკმარისია.

ვ. ჭიპაშვილმა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისა და კომისიის ფორმატის გამო ამ ეტაპზე შეფასება არის უარყოფითი.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ ვაფასებთ მერიის სამსახურების საქმიანობას რატომღაც მიდის ტენდენცია უარყოფითად შეფასების, შედეგს რას ელოდებით. მე ვერ შევაფასებ მათ საქმიანობას უარყოფითად.

კენჭის ყრის პროცედურის დაწყებამდე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის წინადადებით სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის უარყოფითად შეფასების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 20

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე

და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგელიება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევის ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და მოწონების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა საკითხის ინიციატორმა, რომელმაც საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ი. მაღრაძემ - რომელმაც აღნიშნა, რომ ინიციატივას მიესალმება, მაგრამ საინტერესოა რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სოფლის სტატუსს მოსახლეობისათვის.

ა. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ნებისმიერ ადმინისტრაციულ ერთეულში არიან უბნები სხვადასხვა დასახელებებით არ არის გამორიცხული მათმაც მოითხოვონ კატეგორიის მინიჭება.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა კარგი საქმე გაკეთდება თუ ბრუისი მიიღეს სოფლის კატეგორიას და მოხდება მისი რეგისტრაცია სოფლის სტატუსით ეს ხელს შეუწყობს იქ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინიციატივის მოწონების თაობაზე და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია “Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD”- სათვის , პირდაპირი

განკარგვის წესით, სასყიდლით (იჯარის ფორმით), სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 24

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/43** განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/44** განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - .სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი), ათი წლის ვადით, საკონსულტაციო ცენტრის მოსაწყობად დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N15 შენობის პირველ სართულზე მარცხენა ფლიგელში (მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციული შენობა) (ს/კ 36..01.33.046) 15,12 კვ.მ ფართის გადაცემად მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

გ. თავზარაშვილმა, რომელიც დაინტერესდა ვინ ისარგებლებდა იურიდიული მომსახურებით.

ჯ. ბერაძემ განუმარტა, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს გაეწევა უფასო იურიდიული კონსულტაცია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კ. გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ი. კელენჯერიძემ, რომელიც დაინტერესდა თუ რა შეიცვალა აღნიშნული დადგენილების მიღებით.

კ. გოლუბიანმა განმარტა, რომ საქმის წარმოება ხდება ელექტრონული ფორმით, სისტემური ხდება შემოსული დოკუმენტების კონტროლის მექანიზმი, იზრდება პასუხისმგებლობის დონე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე - 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

2019 წლის 3 ოქტომბრის

ს ხ დ ო მ ი ს დ ა ს კ ვ ნ ა

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018-2019 წლების საქმიანობის ანგარიში. კომისიის წევრებმა დასვეს შეკითხვები, გამოხატეს შეფასებები და დაასახელეს პრობლემური საკითხები , რომლებიც თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვასა და ხარჯვასთან არის დაკავშირებული. კომისიის შეფასებით საბიუჯეტო სახსრების ათვისების მაჩვენებელი არის არადამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯების ათვისების დონე კატასტროფულია, რის გამოც საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის ნაწილობრივი პასუხისმგებლობაც იკვეთება. კომისიის სხდომაზე რამდენიმე დეპუტატმა ისაუბრა მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, ითქვა, რომ ღონისძიებები დაგვიანებულია. კომისიაზე აღინიშნა, რომ სამსახურს დებულების მიხედვით, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზი უნდა ჩაეტარებინა და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი წინადადებები მოემზადებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ანგარიშის მიხედვით იკვეთება, რომ მსგავსი მოქმედება სამსახურს არ განუხორციელებია.

კომისიის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა იმ ხარვეზებზე, რომლებიც აღნიშნული სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების საფუძველზე დადგინდა და ცალსახად გამოიკვეთა საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის პასუხისმგებლობა აუდიტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობის კუთხით დასტურდება ისეთი ხარვეზები, როგორიცაა: ბიუჯეტში ხშირი ცვლილებები, მუნიციპალური ქონებების პასუხისმგებელ პირებზე ჩაუბარებლობა, საბიუჯეტო მოთხოვნების არასათანადო დასაბუთება, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის არასათანადო დასაბუთება, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებში მეწარმე სუბიექტებზე დარიცხული საურავების ამოუღებლობა და სხვა.

საფინანსო საბიუჯეტო კომისია მიიჩნევს, რომ მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურს არ ჰქონია ადეკვატური რეაგირება საკრებულოს მიერ შემუშავებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე, რომელიც ეხებოდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის წლიურ და კვარტლური შესრულების ანგარიშებს. კონკრეტულად, საფინანსო სამსახურმა არ გაატარა ღონისძიებები საკრებულოს მოთხოვნისამებრ: გაზრდილიყო მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის მასშტაბები, ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ხარჯზე განხორციელებულიყო მცირე მასშტაბის პროექტები, გაზრდილიყო გარე განათების მოწყობის ხარჯები და რაც მთავარია, გატარებულიყო ყველა კანონიერი ღონისძიება, ინფრასტრუქტურული ხარჯების დროულად ათვისების მიზნით.

კომისიაზე ცალსახად ითქვა, რომ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე, საკრებულოს მიერ მერიაში ჩაგზავნილ დასაბუთებულ შენიშვნებზე საბიუჯეტო წლის განმავლობაში სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია, რაც ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისას მერიის მხრიდან გაცემულ დაპირებას შენიშვნების ეტაპობრივად გათვალისწინების შესახებ არ..ეწინააღმდეგება. კერძოდ, დღემდე ვერ გამოიძებნა სახსრები დაბის ცენტრალურ პარკში

საბავშვო ატრაქციონების მოსაწყობად, სოფლებში სასმელი წყლის პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი ღონისძიებების უმრავლესობა არ განხორციელებულა, დაგეგმილი დაფინანსება განიკარგა მხოლოდ სტიქიის ზონაში ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეულ საჭიროებებზე, რა კუთხითაც ფინანსურ დახმარებას ცენტრალური ხელისუფლება დასაბუთებული თხოვნის შემთხვევაში გაგვიწევდა,რაც მოგვცემდა საშუალებას მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით სხვა საჭიროებები დაგვეფინანსებინა.არასწორი პოლტიკა..

კომისიისთვის ცნობილია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების აუდიტორული შემოწმების შედეგად იკვეთება საბიუჯეტო სახსრებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზები: დარღვეულია შესყიდვების კანონმდებლობა, სრულყოფილად არაა ნაწარმოები საფინანსო დოკუმენტები, ფიქსირდება თანხების არაეფექტური ხარჯვა და ამასთანავე გარკვეული გადახარჯვები. აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უშუალო ვალდებულება ჯეროვნად არ აქვს შესრულებული და არ აქვს განხორციელებული სათანადო კონტროლი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინასებაზე მყოფი დაწესებულებების ფინანსურ ხარჯვებსა და ოპერაციებზე. დებულების მიხედვით თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოს პერიოდული და წლიური ანგარიშები უნდა მიიღოს და განიხილოს სამსახურმა. კომისიისთვის მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შ.პ.ს არ გააჩნია მოგება, ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას და აღნიშნულ ფაქტებზე არ ჩანს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ადეკვატური შეფასებები და კონკრეტული გეგმა რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს.

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიაზე ითქვა, რომ სამსახური თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად, საჭირო სამუშაოების ორგანიზებას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს. კერძოდ, არ სრულდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების თაობაზე, რომლის მიხედვითაც სამსახურს საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩართულობით უნდა დაეორგანიზებინა საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული აქტივობები, რაც არ განხორციელებულა.

კომისიის სხდომაზე, დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მილიონობით ლარის სახით გაცემულმა თანხებმა მიზნობრიობა დაკარგა, რაც სამსახურის პასუხისმგებლობის საგანიც არის, ვინაიდან თანხები ავანსის სახით გაცემულია იმ მეწარმე სუბიექტებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოირჩეოდნენ,ავანსები ერთიდაიგივე კომპანიებზე ისეა გაცემული,რომ რომ წინა პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები დაწყებულიც არ არის და ამ შემთხვევებში არსად არ ჩანს, საფინანსო სამსახურის სამართლებრივი წინააღმდეგობა ავანსის სახით თანხების გადარიცხვის შესახებ. კომისიის შეფასებით ის ფაქტი, რომ მერიის მხრიდან დღეს მიმდინარეობს გაცემული ავანსების უკან დაბრუნება ადასტურებს, რომ გაცემულმა ავანსებმა შედეგი ვერ მოიტანა და ავანსების გაცემის სისტემური ხასიათი იყო შეცდომა,რასაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური პასუხისმგებლობით მხრივ გვერდს ვერ აუვლის.

კომისიის შეფასებით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე ვერ წარმოადგინა ცალსახა პოზიცია და ვერ გათვლა მუნიციპალური

მომსახურებების ტენდერის გზით შესყიდვის შესახებ, მაგალითად: ბეჭვდითი და სათნოების სახლის მომსახურებების შესყიდვების თაობაზე .

საკრებულოს დეპუტატები იხსენებენ მერიის დაპირებას, ა.ი.პ-ების რეორგანიზაციის შედეგად თანხების გამოთავისუფლების თაობაზე და უკმაყოფილება გამოთქვეს, რომ რეორგანიზაციის შედეგები ვერ პასუხობს იმ მოლოდინებს რომლებიც დეპუტატებს გააჩნდათ და შესაბამისად აქ იკვეთება საფინანსო-სამსახურის ნაწილობრივ პასუხისმგებლობა, ვინაიდან მერიამ საკრებულოში წარმოადგინა ფინანსური გეგმა თანხების გამოთავისუფლების თაობაზე ,რომელიც ბუნებრივია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ჩართულობის გარეშე ვერ შედგებოდა